ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №69 სხდომის ოქმი

2012 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში სამართლის ფაკულტეტიდან პროფესორ კონსტანტინე კუბლაშვილისათვის უფლებამოსილების ცნობა;
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტის, მაკა ლაშხიასათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების შემადგენლობის განსაზღვრა;
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკა/ამერიკანისტიკის მიმართულების დოქტორანტის, ნათია დავითაშვილისათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების განსაზღვრა;
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, ნანა კუნელაურის სადისერტაციო თემისათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების განსაზღვრის საკითხის განხილვა;
5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, მარინა კაპანაძის განცხადების განხილვა ლაბორატორიის (სახელწოდებით“SALIS”) დაფუძნების შესახებ;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას წარდგინების განხილვა 2013-2014 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტთა რაოდენობის 2670 სტუდენტით და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 295 სტუდენტით განსაზღვრის შესახებ;
7. მოქალაქე ნინო პეტრეს ასული ცისკარიშვილის განცხადების განხილვა წიგნის English Proverbs and Sayings(wits Gergian and Russian translation and equivavelts) მე-2 ნაწილის უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემის შესახებ;
8. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის: ,,ძილ- ღვიძილის ციკლის შემსწავლელ თენგიზ ონიანის ლაბორატორია”, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის, გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის, ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის, მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტის, ეკოლოგიის ინსტიტუტის, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის, ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევის ინსტიტუტის, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შიდასუნივერსიტეტო პტოექტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
9. ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ააიპ კვლევისა და განვითარების ტექნოლოგიების, inc–ს მიერ ინტერდისციპლინარული კვლევების ფონდის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

10. 2009 წლის 14 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული „სტუდენტთა ეთიკის კოდექსის“ გაუქმებისა და მის ნაცვლად ახალი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსის“ დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია როგავა - სხდომის მდივანი;
3. მარინე ჩხიკვიშვილი;
4. გიგა ზედანია.

2012 წლის 26 დეკემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს - ცნობად იქნას მიღებული** სამართლის ფაკულტეტზე 2012 წლის 17 დეკემბერს ჩატარებული აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატის არჩევნების შედეგების საფუძველზე აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ამავე ფაკულტეტიდან სრული პროფესორის, კონსტანტინე კუბლაშვილის აკადემიური საბჭოს წევრობის უფლებამოსილება ამ აკადემიური საბჭოს დარჩენილი ვადით;.

2. **დამტკიცდეს -** მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტის, მაკა ლაშხიას სადისერტაციო თემისათვის „ეროსი როგორც ფილოსოფიური შემეცნების საწყისი და გზა სამართლიანობისაკენ“ სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ემზარ ჯგერენაია - სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, გიგა ზედანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, თამარ ცოფურაშილი - ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო რეცენზენტები განსაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით - გურამ თევზაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ - ემერიტუსი, სერგო რატიანი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ლევან გიგინეიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

3. **დამტკიცდეს -** მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკა/ამერიკანისტიკის მიმართულების დოქტორანტის, ნათია დავითაშვილის სადისერტაციო თემისათვის ,,პოეტური მეტაფორა ინგლისურენოვან რომანტიკულ ტექსტში (უილიამ ბლეკის პოეზიაზე დაყრდნობით)“ სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: რეზო მარსაგიშვილი - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული

პროფესორი, ნინო დობორჯგინიძე - ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ნინო თევდორაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო რეცენზენტები განსაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: ვახტანგ ლებანიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ნინო მატარაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

4. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, ნანა კუნელაურის სადისერტაციო თემისათვის „მხედველობითი იმპრინტინგი წიწილებში - მიტოქონდრიული ცილები და α – ამინო-3-ჰიდრო-5-მეთილ-4-იზოქსაზოლ პროპინის მჟავას ტიპის გლუტამატის რეცეპტორები“ სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: დავით მიქელაძე - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ლალი შანშიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მზია ჟვანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მაია ნოზაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ხოლო რეცენზენტები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: ნინო ნაცვლიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ირინა კალანდაძე - აკადემიური დოქტორი, ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრი;

5. **დადგინდეს** - ვინაიდან 2012 წლის ოქტომბერში დასრულდა ტემპუსის პროეტი SALiS, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტმა შექმნა და აღჭურვა ლაბორატორია, რომელიც აგრძელებს ფუნქციონირებას, აღნიშნული ლაბორატორია გადავიდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სტრუქტურულ ერთეულად და ეწოდოს „SALiS“ ლაბორატორია;

6. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას წარდგინების საფუძველზე 2013-2014 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 2670 სტუდენტით, ხოლო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 295 სტუდენტით;

7. **დადგინდეს** - დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, მოამზადოს დასკვნა მოქალაქე ნინო პეტრეს ასული ცისკარიშვილის მიერ მომზადებული წიგნის English Proverbs and Sayings(wits Gergian and Russian translation and equivavelts) მე-2 ნაწილის უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემის შესახებ;

8. **დადგინდეს** - დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით შემდეგი სტრუქტურული ერთეულების კვლევითი პროექტები: სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი: ,,ძილ- ღვიძილის ციკლის შემსწავლელ თენგიზ ონიანის ლაბორატორია”, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტი, გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტი, ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი, მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტი. 2. დამტკიცდეს შემდეგი სტრუქტურული ერთეულების პროექტები პირობით: ეკოლოგიის ინსტიტუტი, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი. 3. არ დამტკიცდეს და პროექტები დაუბრუნდეთ ავტორებს (სტრუქტურულ ერთეულებს) დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით. 1. ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევის ინსტიტუტი. 2.

ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 3. გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;

9. დადგინდეს - 2012 წლის აკადემიური საბჭოს 11 დეკემბრის 68-ე სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ინტერდისციპლინარული კვლევების ფონდის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღოს და ერთ-ერთ დამფუძნებლად განისაზღვროს ააიპ კვლევისა და განვითარების ტექნოლოგიები inc (ს/კ404943736);

10. დამტკიცდეს - გაუქმდეს 2009 წლის 14 სექტემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსი“ და მის ნაცვლად დამტკიცდეს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსი“;

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია როგავა